



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1331  
20/07/2018

ქალაქი ბათუმი

1331-05-4-201807201153



**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური“-სათვის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული ხუთი ერთეული ავტომანქანა ნივის თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი „დგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური“-ს 2018 წლის 11 ივლისის №01-05/81 მომართვისა და მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ა. ბაჟაშვილის 2018 წლის 17 ივლისის №2029-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ**:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახურ“-ს თხოვების ფორმით გადაეცეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული ხუთი ერთეული სატრანსპორტო საშუალება: VAZ LADA 21214 სახ. ნომერი -FW599WF; VAZ LADA 21214 სახ. ნომერი -FW601WF; VAZ LADA 21214 სახ. ნომერი- FW602WF; VAZ LADA 21214 სახ. ნომერი- FW603WF და VAZ LADA 21214 სახ. ნომერი -FW604WF საერთო ღირებულებით 122500 (ასოცდაორიათასხუთასი) ლარი.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის სამართალვერცი უზრუნველყოფის ხელმძღვანელს ლევან ბერიძეს მიენიჭოს უფლებამოსილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გააფორმოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური“-თან თხოვების ხელშეკრულება, ხოლო მერიის ქონების მართვის განყოფილებამ (ა. ბაჟაშვილი) უზრუნველყოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3. დაევალოს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ. ნაკაშიძე) აღნიშნული ქონების მიმართ საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება.

4. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა